# დროება

**№ 274** ოთხშაბათი, 9 დეკემბერი 1909 წ. **№ 274**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და [illegible] განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და [illegible] ტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 [illegible] თი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] [illegible] დავ მცირე წერილებს და კო[illegible] ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**


ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების და დეპუტატების საკრებულო ღრმესის მწუხარებით აუწყებს გარდაცვალებას კავკასიის ყოფილ უავგუსტოესის ნამესტნიკის

## მის იმპერატორობითი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისას.

ღვთივ განსვენებულის დიდი მთავრის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადახდილი იქნება 9 ამა დეკემბერს სიონის საკათედრო საკრებულო ტაძარში ნაშუადღევის 1 საათზე. (2—ნ.—2)

---

**აზნ. პახვალა როსტომის ძე ლიფონავა, კესარია კეიდიას ასული, ქვრივი ცაბუა თვალთვაძის ასული, ფუცუნია ქაჩიბაის ასული, ხუხუ მიხას ძე ლიფონავა და ნადეჟდა ლიფონავას ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი-ორი—ძის, მესამე—მეუღლის და დანარჩენნი—მაზლის და ბიძის

## გრიგოლ პახვალას ძე ლიფონავასი.

დაკრძალვა დ[illegible]ნულია 10 დეკემბრისთვის ს. ხორგას, ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნია. (1—ფ.—1)

---

სოფ. ბაზნევში გარდაიცვალა

## სიმონ ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **მატრონა**, ძმა **დავითი** და ძმლები **ელენე** და **ეკატერინე აბდუშელიშვილნი**. პანაშვიდი ყოველ დღე. დასაფლავება 10 დეკემბერს ი[illegible]ხვისის ეკლესიის გალავანში. (2—კვ.—2)


**წარმოდგენა № 21.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 21.**

**აბონიმენტი მე 9**

შაბათს, 12 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა **ს. გლახაშვილისა.**

## „ცყურვილი“

დრამა 4 მოქმედებად.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## ქართული ოპერა

კვირას, 13 დეკემბერს, 1909 წ. თავად-აზნაურთა თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება

## „სევილიელი დალაქი“

ოპერა 3 მოქმ. 4 სურათად, მუს. როსსინისა თარგ. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კალანდაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, აგახოვი, ცხომელიძე, კარაკაშევი, კარგარეთელი.

ოპერას ლოტბარობს **პოლ. პეტრეს-ძე ფალიაშვილი.**

რეჟისსორობს დამსახურებული არტისტი **იოსებ ივანეს ძე რატილი.**

მესამე მოქმედებაში გაკვეთილის დროს ქ-ნი კალანდაძისა შეასრულებს ცნობილ ვილსს „ვენცანოსას“, თარგ. ი. კარგარეთლისა.

სუფლიორი **მ. მოლოდინი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.** (6—3)

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**— საიუბილეო წარმოდგენა —**

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, 1909 წელს.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე ქ-ნ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით გამართავს **საიუბილეო** წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

## ხანუმა

კომ. 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს წრესთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: **შემდეგი ქართული წარმოდგენა** გაიმართება შაბათ საღამოს, 19 დეკემბერს.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ვახვახიშვილი.**

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11 1/2—12 1/2 ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2 1/2 ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—225)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი სწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10 1/2—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2 1/2—3 1/2 ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე[illegible]ი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციონ სულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—58)

---

## გლეხი-კაცის ისტორია

**◀ მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე ▶**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—4)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—125)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—9)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიეისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ჭუთხე). (100—ზალ.—80)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—18)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—66)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—121)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები, აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—315)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—ნ.—17)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—67)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით მქიმოება. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—77)

---

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—62)

**— ◀ ვკისრულობ დაცვას ▶ —**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. გაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ ხზვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—13)

**საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი**

## „ფონი“

გამოდის ქუთაისში 6 სექტემბრიდან, კვირაში ერთხელ.

**— ცალკე № ყველგან ერთ შაურად —**

წლის დამლევამდი 1 მან.

**ხელის მოწერა მიიღება წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.**

განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე—5 კ. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул., д. N 37. Г. Т. ГЕОРГАДЗЕ. (3—1)

## იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გითროს ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—49)

## ტფილისის სობრანიე

„სობრანიეს“ კანტორა აუწყებს ბ-ნთ წევრთა და კანდიდატთ, რომ უკანასკნელი ვადა ბილეთების განახლებისა არის 14 დეკემბერი. იმათ, ვინც ამ დროსთვის ბილეთებს არ განაახლებენ, უნდა ბილეთის ფასის გარდა გადაიხადონ 8 მანეთი (წესდების მე 15 §).

კანტორა ღია საღამოს 8—11 საათზე. (3—592—1)


# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე კრებამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის ვ. რცხილაძის მოხსენება ძველ სათეატრო სექციის თავმჯდომარის მ. დემურიასთან მოლაპარაკების შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ პირადად ის, მ. დემურიას წინააღმდეგი არა ყოფილა ქონების გადაცემისა, მაგრამ „ახალი წრის“ ზოგიერთი წევრნი უთქვამს მ. დემურიას, ამტკიცებენ, რომ სექციის მიერ მოპოვებული ქონება სახალხო კითხვის საზოგადოებასთან ყოფნის დროს, კანონით სახალხო კითხვების მომწყობ საზოგადოებას ეკუთვნის და არა სახალხო უნივერსიტეტსაო. შემდეგ მოპოვებულ ქონების გადაცემისა კი წინააღმდეგი არ არის. კრებამ დაადგინა: დაავალოს გამგეობის წევრს ნ. ჰიჰინაძეს, ჩაიბაროს სათეატრო სექციის კასსა ყოფილი კასირ დუმბაძისაგან. ეთხოვოს აგრეთვე გ. გვაზავას, რომ სახალ. უნივ. ს სარგებლოდ წაიკითხოს ლექცია.

✦ **რუსები და ჩაჩნები.** „გოლ. კავკაზ“-ში დაბეჭდილია, ოქტომბრისტთა ფრაქციის უკანასკნელ კრებას დაესწრო სამი რუსი ჩრდილოეთ კავკასიიდან. ამ დეპუტაციამ სთხოვა ფრაქციას დახმარება ჩაჩნებისაგან რუსების დასაცველად ჩრდილოეთ კავკასიაში. დეპუტაციის სიტყვით, ჩაჩნები ვითომ უწყალოდ ჰხოცვენ და ძარცვავენ რუსს მცხოვრებთ. ფრაქციამ დაადგინა, აცნობოს ეს ამბავი კავკასიის და პეტერბურგის უმაღლეს მთავრობებს.

✦ **მარშლის გადაყენება.** უკვე ვწერდით, რომ ზუგდიდის თავად-აზნაურთა მარშალს თავ, ვარადებულ აფაქიძეს სამართალში აძლევენ. თავ, აფაქიძე, რუსულ გაზეთების სიტყვით, სამსახურიდანაც დაუთხოვნიათ.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** გუშინ, 8 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ტფ. ვაჟთა მე-4 გიმნაზიის მოწაფემ ს. ჟუკოვსკიმ რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოდ თავი დაიჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ს. ჟუკოვსკი 15 დღეა, რაც გიმნაზიიდან დაუთხოვიათ. მას ბარათი დაუტოვებია: „მომბეზრდა სიცოცხლეო“.

✦ **ალ. ყაზბეგის ლექსები.** მოგვივიდა გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული ალექსანდრე ყაზბეგის ლექსები. ეს ლექსები წინად არსად დაბეჭდილა. წიგნაკს სურათიც აქვს დართული.

✦ **რკინის გზა კოჯრამდე.** ფუნიკულერის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, ნება მისცეს საზოგადოებას, რომ ფუნიკულერის ზედა სადგურიდან კოჯრამდე გაიყვანოს რკინის გზა.

✦ **ქართული ჟურნალები.** ქართველ სამღვდელოების ერთ ჯგუფს განუზრახავს ტფილისში ქართულ სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა. ამას გარდა, როგორც ამბობენ, ტფილისში მალე გამოვა ქართული ყოველკვირეული სათეატრო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

✦ **კრება არ შესდგა.** 7 დეკემბერს ტფ ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო.

✦ **პანაშვიდი.** ორშაბათს, 7 დეკემბერს ტფილისის ყველა სასწავლებელში გადახდილ იქმნა პანაშვიდი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლად.

✦ **წარმომადგენელნი.** გარდაცვალებულ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დასაფლავებაზე დასასწრებლად სომხის საზოგადოებამ თავის წარმომადგენლებად აირჩია ს. ს. არიუთინოვი. სომხის კათოლიკოსისაგან იქნება ეპისკოპოსი მესროფი.

✦ **ვერის ახალი უბანი**. გვთხოვენ დავბეჭდოთ: პეტროვსკის ქუჩის ზემოდ (სომხების სასაფლაოს გვერდით) მდებარეობს ერთი უბანი, რომელიც ახლა შენდება (თუმცა ძველი მოსახლენიც არიან). ამ უბნის მიწა-ადგილები ეკუთვნის შემდეგ პირებს: ხერხეულიძეს, ბაბანოვს, თაიროვს, მაკაროვს, ვაგინიანცს, საყვარელიძეს და სხვებს. ამათგან იძენს სამოსახლო მიწებს ჩვენი ღარიბი ხალხი, მაგრამ ამნაირ შეძენას არ შეძენა სჯობია: არც მიწების გამყიდველებს ესმით, რას ყიდიან და არც მყიდველებს, რას ყიდულობენ, და არიან ერთ ვაი-უბედურებაში და ვაი-ვაგლახში; თითონაც არ ესმით, როგორ მოიზომეს მიწები და ზოგი ზედ გზაზედ აშენებს სახლს, სამზარეულოს, ფარდულს და სხვ. წარმოიდგინეთ, ნაბიჯით გაზომილი ადგილი და ქუჩა რა უნდა იყოს! თუმცა როდესაც ჩვენ, ამ უბნის მცხოვრებლები, ვყიდულობდით მიწებს, წინადადება მივეცით მიწის პატრონებს, რომ ქუჩები დაეგეგმათ და ისე მოეზომათ ჩვენთვის ადგილები, მაგრამ მათ ნაბიჯით დაგვიზომეს და გვითხრეს: აი, ეს ექვსი საჟენი ქუჩა იქნებაო და სხ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავთანხმდით არშინ-ნახევრიან ნაბიჯით გაზომილს და მოვთხოვეთ წესიერად გაზომვა. პატრონები წავიდნენ და მოიყვანეს ვილაც „კაკარდიანი" და გვითხრეს: ეს ინჟინერიაო და მოგიზომავთ ადგილებს, ქუჩებსაც თავის რიგზე დაგეგმავსო და სხვა, მაგრამ როგორც მე ჩინური ენა არ ვიცი, ისე იმ „კაკარდიანმა" ინჟენრობა არ იცოდა და ვერც გააკეთა რამე. ესე ვართ უგზო-უკვლოდ დარჩენილი. ამ უგზოობისა და ქუჩების გაუწეს-რიგებლობის გამო, ლამის ერთმანეთს ამოვუღიტონ. კვირას, 15 ნოემბერს, დაერია მთელი უბანი ერთმანეთს და კინაღამ სამ-ოთხი კაცი არ მოკვდა. თუმცა ჩხუბი და აყალმაყალი წინადაც ხდებოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მწვავე ხასიათი მიიღო და თუ ამ გარემოებას ყურადღება არ მიექცა, უბედურება დატრიალდება. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ მემამულეებს, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ვართ ასე ღვთის ანაბარად. ქალაქის გამგეობას მხოლოდ გადასახადების აკრების დროს ვახსოვართ.

✦ **წარმოდგენის გადადება**. ქართული წარმოდგენა ხუთშაბათის, 10 დეკემბრის მაგიერ გაიმართება შაბათს, 12 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა ს. გლახაშვილისა „წყურვილი". უკანასკნელ მოქმედებაში პროჟექტორის საშუალებით დაიდგმება „აპოთეოზი".

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ**: ნაძალადევში, ხუდადოვის ქუჩა ძრიელ ბნელია, რადგანაც ფარნები მეტის-მეტად შორი-შორს სდგას. საშიროა, ამ ქუჩაზე, სადაც ქალაქის რეზერვუართან ბაღია გაშენებული, ორი ფარანი მაინც დასდგან.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**სასამართლოს რეფორმა.**

7 დეკემბერს, ოცდა-მეშვიდე სხდომაზე, სათათბირომ განაგრძო სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვა. უმთავრესი ყურადღება მიიქცია ორმა მუხლმა: ერთი შეეხებოდა ადგილობრივ ენის შემოღებას სასამართლოში, მეორე—სასამართლოს მეორე ინსტანციის თავმჯდომარეს.

პირველი მუხლის შესახებ კამათი, როგორც ვიცით, წინა სხდომაზე დაიწყო. ოპოზიციის გარდა, მთელი ცენტრი და მემარჯვენენი წინააღმდეგნი იყვნენ და არიან ადგილობრივ ენის შემოღებისა სასამართლოში. 7 დეკემბერს შულგინმა პირდაპირა სთქვა, რუსული ენის წყალობით უნდა გავარუსოთ „ინოროდცებიო", ვერც ვერავინ გვისაყვედურებს, ვითომ ეს გარუსების ნიჭი არა გვქონდეს: გაგვირუსებია ისეთი „შესანიშნავი კაცები", როგორნიც არიან ბუნგე, გრიმმი, კრუშევანი და სხვებიო. ამავე ორატორმა განაცხადა—მალოროსიული ენა არ არსებობს, ეს ენა რუსეთის დასაღუპავად შექმნეს ორიოდე მტერმა მალოროსმა და კადეტებმაო.

საზოგადოდ მალოროსიულ ენაზე ძალიან ცხარედ ლაპარაკობდნენ რეაქციონერები თვალებს იბრმავებენ და არ უნდათ დამოუკიდებელ ენად აღიარონ ის ენა, რომელზედაც ეხლა ეს დენი მდიდარი ლიტერატურაა.

მომხსენებელმა შუბინსკიმ (ოქტომბრისტია) დაადასტურა მემარჯვენეების სიტყვები. მართალსა ბრძანებთ, რუსული ენა უნდა ბრძანებლობდეს და ბატონობდეს მთელ რუსეთში, მაგრამ იქ, სადაც რუსული არ იციან, სასამართლოებში საჭიროა მცირე ცვლილება. უნდა მივიღოთ თხოვნები ადგილობრივ ენაზე და დავაწესოთ თარჯიმნებიო (ეს წინადადება წინასხდომაზე ანტონოვმა შეიტანა).

ეს არის მთელი ლიბერალობა ოქტომბრისტებისა.

სათათბირომ მიიღო ანტონოვის წინადადება.

კამათი გამოიწვია აგრეთვე, როგორცა ვთქვით, მე-17 მუხლმაც. ამ მუხლში ნათქვამია: სასამართლოს მეორე ინსტანციის (მოსამართლეთა სიეზდი) თავმჯდომარე უმაღლესად უნდა დაინიშნოს იუსტიციის მინისტრის წარდგენითაო. ამ მუხლის წინააღმდეგი იყო მთელი ოპოზიცია. თავმჯდომარე უნდა ირჩეოდეს და არა ინიშნებოდესო. ეს აზრი გაატარეს თავიანთ სიტყვებში მაკლაკოვმა, ბულატმა და სხვებმა.

სხდომა ამით გათავდა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით მისს იმპერატორობით უმაღლესობას დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო ჯარში სამი თვით გლოვა გამოცხადდა.

სააგენტოს სხვა და სხვა ქალაქებიდან დეპეშები მოუვიდა, რომ ღვთივ განსვენებულის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

**ტაშკენტი**. ადგილობრივ სატუსაღოდან 51 ტუსაღს უნდოდა გაქცევა. ტუსაღებს კედელი გაენგრიათ. სატუსაღოს ადმინისტრაციამ დროზედ შეიტყო ეს და შესაფერი ზომები მიიღო.

**ოდესსა**. სამოსამართლო პალატამ განიხილა ბუხგეიმის, ზალუცკის და იაკუბოვის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელს ოდესაში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების გაფიცვის მოწყობა. სასამართლომ გადაუწყვიტა ბუხგეიმს და იაკუბოვს ორ-ორი კვირით ციხე, ზალუცკი გაამართლა.

**გელსინგფორსი**. 7 დეკემბერს ფინლანდიის სტატს-კანტორამ რუსეთის ხაზინაში შეიტანა ათი მილიონი მარკა,—ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ფინლიანდიამ უნდა გაიხადოს სამხედრო საჭიროებისთვის.

**ლოძი**. ხუთი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ტაკელნიცას სასოფლო საზოგადოების კანცელარიას. ბოროტ-განმზრახველები ორჯერ შეეცადნენ ფულის ყუთის დინამიტით აფეთქებას, მაგრამ ამაოდ. ბოროტ-განმზრახველებმა წაიღეს 25 პასპორტის ბლანკი და მიიმალნენ.

**ვილნო**. უცნობმა რევოლვერი ესროლა ინჟინერების უფროსს გენერალ აკიმოვს და მის თანაშემწეს გენერალ პენგოს. მსუბუქად დაიჭრა პენგო. უცნობი, ებრაელი—მუშა დააპატიმრეს.

**პეტერბურგი**. განზრახული აქვთ მომავალ წლიდან ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში მიიღონ ხელის მოწერა ყველა გაზეთებს და ჟურნალებზე.

**ორენბურგი**. ჩელიაბინსკში წვრილი კრედიტის ადგილობრივ საზოგადოების კანტორიდან ბოროტგანზრახველებმა გაიტაცეს ფულის ყუთი. ბოროტგანზრახველებმა წაიღეს 92876 მანეთი ფულად და ვექსილებით.

**ეკატერინოსლავი**. ადგილობრივმა მუშებმა და კონსტანტინევიდან ჩამოსულმა ბოროტგანზრახველებმა გაძარცვეს შჩერბინოვის მაღაროები. გაიტაცეს 1055 მანეთი. დააპატიმრეს 12 კაცი.

**ურალსკი**. ურალის და ობიშჩენის მაზრების 3 სოფლის საზოგადოებაში შავი ჭირი გაჩნდა. 12 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე შავი ჭირით გარდაიცვალა 37, ავად არის 31 კაცი.

**კიევი**. სადგურ კოროსტენის ახლო საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. დაიმტვრა ერთი ორთქლმავალი და ექვსი ვაგონი, მოკვდა კონდუქტორი.

**პეტერბურგი**. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად ღარავინ გამხდარა. ავად არის 23 კაცი.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი საზანოვიჩი აცხადებს, ტყუილია ის ხმა, ვითომ იმ დროს, როდესაც ტიმოშკინს და აჯემოვს შეტაკება მოუვიდათ, მე ტიმოშკინს მივეშველებოდი და ამის გამო დეპუტატ ლუკაშინთან ჩხუბი მომსვლოდესო.

## საზღვარ-გარედ

**ბერლინი**. ტოკიოდან დეპეშით იტყობინებიან: მომავალ წლის შემოსავალ-გასავალი უდრის 534 მილიონ მანეთს. განზრახული აქვთ მომავალ წელს სამხედრო ხარჯებ 4 მილ. მანეთით გაადიდონ. მეფის ჯამაგირს მოუმატეს, ექნება წელიწადში 4½ მილიონი მანეთი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების ჯამაგირს საერთოდ წელიწადში მოემატება 30 მილიონი მანეთი.

# სოფლად

II *)

**სკოლები.**

ავლევის სკოლა დაარსდა 12 ოქტომბერს. თუმცა ცნობა მქონდა შენობისა, ადგილ-მდგომარეობისა; ვიცნობდი მასწავლებელსაც, სკოლის გამგესაც, სკოლის დამაარსებელსაც, მაგრამ მაინც ცნობის მოყვარეობამ გამიწვია, მენახა შენობა, როგორ იყო დაყენებული სწავლა. შენობა ქვიტკირისაა, ორი ოთახისაგან შესდგება. გარს შემოლობილი ოთხი დღიური ოქიროვს. ერთ ოთახში, რომელიც უფრო დიდია, კლასია მოთავსებული, მეორეში მასწავლებლის ოჯახი სცხოვრობს. საკლასო ოთახი ორ ნაწილადაა გაყოფილი მოაჯირით, ერთში 18 სტოლი სდგას მოსწავლეებისა, მეორეში მოაჯირს ორივე მხარეს კედლებთან დატოვებულია ასასვლელი კათედრაზე, სადაც საკლასო დაფაა, მასწავლებლის სტოლი და საანგარიშო. კედლები გაკრულია შპალერით; იატაკი, ლამფა, კარი-ფანჯარა შეღებილია. კედლები მორთულია სურათებით ძველის აღთქმის ისტორიიდან, იესო ქრისტეს ცხოვრებიდან, ზოოლოგიდან, ბოტანიკიდან. ერთ ადგილას ქართული კალიგრაფიული ანბანია გაკრული; მეორე ადგილას სადაც კათედრაა, სიაა გამოკიდული მოსწავლეებისა, აგრეთვე გაკვეთილების რიგისა. კედლის საათიც ამშვენებს [illegible] ოთახსა თავ. კ. მ. ამირეჯიბმა დააკეთებინა [illegible].

კითხულობდნენ „დედა-ენის" პირველ „ნამგალს". საკლასო დაფაზე ეწერა სიტყვები: „ნამგალი, გავა, გოგო, გიგო, გაზი" და სხვ. მოსწავლენი სათითაოდ გამოდიოდნენ საკლასო დაფასთან, მასწავლებელი მისცემდა მათ ხელში გძელ წკეპლას, ნაწერს საკლასო დაფაზე გააყოლებდნენ და ხმა-მაღლა კითხულობდნენ. სწავლა სკოლაში დაიწყეს ოქტომბრის ნახევარში და ამ ხუთ კვირეში (24 ნოემბერს ვიყავ) საკმაოდ მომზადებულან. მასწავლებელმა ლექსებიც ათქმევინა. მასწავლებელი გულმოდგინედ ეკიდება სწავლას და მასთანვე მოსწავლეებს დაყვავებით და ჩაგონებით ექცევა. მასწავლებელმა ჰკითხა კლასს:—აბა, ვინ არ იცით გაკვეთილი, ფეხზე წამოდექით? სამი მოსწავლე წამოდგა ფეხზე. მასწავლებელმა დარიგება მისცა: შევნიშნე მოსწავლენი გულის-ყურით იქცეოდნენ. კლასში სიჩუმე იდგა. ყველას სუფთად ეცვა.

სკოლაში 53 მოსწავლეა, ამათში 17 ქალია (4 თავად-აზნ., თითო იხდის 3 მან. და 4 ოსია), დანარჩენი სოფ. ავლევიდან და ცხრონისიდან დადიან. სწავლის მსურველი ბევრია, შენობამ მეტი ველარ დაიტია.

სავაისოდ თავ. კ. მ. ამირეჯიბი შენობის გაფართოებას აპირებს თავის ხარჯით. რაც სკოლას სასწავლო ნივთები სჭირდება, თვითონ კისრულობს. სამეურნეო იარაღიც მოსწავლეებისათვის (თოხი, ბარი) შეუკვეთა. მიწის მუშაობაც დაიწყეს აქავე შემოღობულ ადგილში და ძალიანაც ხალისობენ მოსწავლენი, სკრიდან გამოიწერეს დასარგავი ხეხილი, დამჭნილ ვაზისთვის მიწას აბრუნებენ, ხეხილისთვის ორმოებს სთხრიან და სხვ.

სადურგლოს და სამჭედლოს შესწავლასაც აპირებენ. იმედია, რომ მომავალში ავლევის სკოლა სამეურნეო სკოლად გადაიქცევა. მასწავლებლად მ. ედილაშვილია. ჯამაგირი ეძლევა ხაზინიდან—300 მან.

* იხ. „დროება" N 270.

# ცხოვრება და ხელოვნება

**ჩვენის ლიტერატურის ზნე-ჩვეულებანი.**

(დასასრული *)

ჩვენმა ახალგაზდა მგოსანმა ალ. შანშიაშვილმა ამ რამდენიმე ხნის წინად დასტამბა „დროება"-ში (№№ 237 და სხვ.) დრამატიული პოემა „ოცნების მხარეს". ამ პოემის არაკი შემდეგია: მგოსანი მიდის თავის სატრფოს მოსაძებნელად ოცნების მხარეში. ოცნების მხრისკენ მგოსანთან ერთად მისცურავენ ნავით მისი განუყრელი მეგობრები: მზისავარ, სევდია, ბერო და ერთგულა. თან სდევთ გუნდი აჩრდილებისა, კეთილ სულებისა, ბოროტ სულებისა, ზღვის ფერიებისა და სხვ. მგოსანი სატრფოს ძებნით დასუსტებული ძლივს მიაღწევს ოცნების მხარეს და რადგან თვით ღონე მილეულია, თავის „ავთანდილს" მზისავარს ჰგზავნის სატრფოს „სიყვარულის" სანახავად. მზისავარ ნახავს თუ არა „სიყვარულს" და ორიოდე სიტყვას ეტყვის, წამსვე სულს დაჰლევს, ვინაიდან, როგორც „სიყვარული" ეუბნება, „არ იცი, მუდამ შორსა ვარ ადამის მიუკარები? მიპოვე, წამით დაგატკბე, ტრფობით აღგიგზნე თვალები, მაგრამ მოგიღნობს ეს ხილვა, სამარეს მიებარები".

ამის შემდეგ საბრალო მგოსანსაც მხოლოდ ლანდი გამოეცხადება „სიყვარულისა" და ეტყვის: „შენი სიცოცხლე სარკმელი იყო, ვერსად წაუხვალ გარდუვალ კედლებს; მოჰკვდები, გვამსა მტვერს შეურთეებ ჩემთან სიკვდილი შემოგაერთებს. „**წმინდა სიყვარულს და სულს მგზნებარეს თვით უკვდავება დააგვირგვინებს**", მგოსანი კი, ამით გულ მოკლული, ეტყვის განუშორებელს „სევდიას": „**წმინდა მიზანი არსებობისა ვერა, ვერ ვპოვე და ჰგოდებს სული. მაინც მას ველტვი მიუწდომელსა**, ავადმყოფს გულსა ის მიფრთოვანებს; სიკვდილის ჟამსაც ვიტყვი: ის მიყვარს! და სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს!" აქ სიკვდილი შედის თავის უფლებაში და ამშვიდებს მგოსანს: „ჩემი სამყარო, თუმცა ბნელია, მაგრამ სამეფო არს მყუდროების... არ ვარ საშიში, როგორც გგონია, მე შეგიბრალებ მრავალ გზით ტანჯულს", ხოლო ხმა იდუმალი, იდუმალი ხმა **ბუნებისა** თავის მიუწდომელის ძალის ხმას გაგვაგონებს და დაგვანახვებს, რომ იგია გამომხატველი ყოველივესი, იგია მეუფე ყოვლის ჩვენის მოვლენისა, იგია დასაბამი სიკვდილისა და იგია წყარო სიცოცხლისა, იგია შვება სიყვარულისა და იგია შემქნელი მეგობრობისა, იგია გამომსახველი ადამიანის და, საზოგადოდ, ცხოვრების ბოროტის და კეთილის ძალისა, იგია ღვთაება და ჩვენი სევდა და კაეშანი, იგია ჩვენი სიხარული და ჩვენი ბედნიერება. მგოსანი, ეს საუკეთესო და უდიდესი გამომხატველი ადამიანისა, ეს უმაღლესი ტიპი ადამიანისა, ეს ზეკაცი ჰკვდება, მაგრამ მისი სიკვდილი გარდაცვალებაა და არა მოსპობა, იგი სახეს იცვლის ბუნებაში, იგი ამ გვარად უკვდავი ხდება: „მისი **ძეგლია ტურფა ბუნება**, ხელთა უქმნელი და ბუმბერაზი: ხან რისხვით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, ხან მოკამკამე, ფურჩქნილი, ნაზი".

მთელი ეს პოემა განსურათებაა ადამიანის ცხოვრების უმთავრეს მოვლენათა და ბუნების საიდუმლოებათა, მხატვრული წარმოდგენაა ადამიანისა და ბუნების შორის კავშირისა. თვით ყოველი სახელი მომქმედ პირისა სიმბოლიური გამოხატულებაა ამა თუ იმ მოვლენისა, რომელიც მთლად ერთიანად ბუნებას ეკუთვნის და კერძოდ ადამიანსა. მზისავარ მეგობარი ადამიანისა, თითქო მისი ფიზიოლოგიური, ხორციელი განუყრელი მისი ამხანაგია; იგი ნაწილია ადამიანისა, რომელიც მზეს ეკუთვნის და ცოცხალ ბუნებას. მხოლოდ ხორციელს ნაწილს ადამიანისას შეუძლიან დასტკბეს „სიყვარულით", მაგრამ ეს დატკბობა, ეს შეყრა „სიყვარულისა", ეს კავშირი „სიყვარულთან" წუთიერია, ერთის წამისაა, და ეს წამი შეისვამს და შთანთქავს ადამიანის არსების იმ საუკეთესო, ცხოველ ნაწილს, რომელსაც სწყურიან „სიყვარული". აკი მოვიყვანე ზევით, რას ეუბნება „სიყვარული" „მზისავარს"

> მიპოვე,—**წამით დაგატკბე**, *)
> ტრფობით აღგიგზნე თვალები,
> მაგრამ **მოგიღნობს ეს ხილვა**,
> სამარეს მიებარები.

და მართლაც, „მზისავარ რჩება **უსულოდ** მკვდარი". სული მგოსნისა კი მარტო ლანდს ჰხედავს. აჩრდილსა „სიყვარულისას", და საუკუნოდ შეერთდება მასთან, ვინაიდან საუკუნება, უკვდავება ეკუთვნის აზრს, გონებას, სულიერ არსებას ადამიანისას. „წმინდა სიყვარულს და სულს მგზნებარეს თვით უკვდავება დააგვირგვინებს; შენ მხოლოდ **ეხლა მიახლოვდები**, მე ც ეხლა გაფრქვევ მომხიბვლელ სხივებს". ჰკვდება მგოსანი ისე, რომ ვერ აღწევს „წმინდა მიზანს არსებობისას", და ყორანი, ეს შავი ბედი ადამიანის ცხოვრებისა, მისი სიცოცხლის მომწამვლელი, დასჩხავის თავზე: „ფუჭი ნატვრაა, შენი ოცნება; სიკვდილი მოდის გიახლოვდება... **ყველას მოიდნობს მეფე სიკვდილი, უკვდავი არის ამაოება**"-ო.

*) ხაზი ყველგან ჩვენ გვეკუთვნის.

მაგრამ შანშიაშვილი აქ როდი სვამს წერტილს, მისი აზრი უფრო შორს მიდის. მისთვის სიკვდილი ეს „ბნელი სამეფო უკუნოების" და „სიცოცხლე, ტკბილი სიცოცხლე", რომელიც „მუდამ სწყუროდა გულს, ტრფობით ვნებულს", განუყრელი მოვლენაა ერთსა და იმავე დიად საიდუმლოებაში, რომელსაც ეწოდება **ბუნება**, დიდი ანბანით „ნატურა", როგორც ევროპიელები ეძახიან, და აი აქა აქვს ყოველივეს დასაბამი, აქვე არის ყოველივეს დასასრული. იგი „ხელთ-უქმნელია და ბუმბერაზი, ხან რისხვით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, ხან მოკამკამე, ფურჩქნილი ნაზი".

ხოლო ეს გაღმერთება ბუნებისა, ეს ბუნების უმაღლეს საფეხურზე დასმა, ბუნების საიდუმლოების წინაშე თავის მოხრა, აქ პირველად როდი აქვს გამოთქმული ახალგაზდა პოეტს. ეს მისი, თუ გნებავთ, ესთეტიური მრწამსია. აბა გადაიკითხეთ იმისი საუცხოვო ლირიული პოემა „იდუმალი ხმები"*). იქაც ამასვე ნახავთ, იქაც იგივე აქვს განმეორებული, იქაც მგოსანი ყველაფერს განიცდის—სიყვარულს, სიხარულს. ცხოვრებას, სიკვდილს და ბოლოს ბუნებას—ჩაიკვრება გულში, მას შეედრება, მას შეუდნობს სულსა და გულს და ბუნებაც მას იწვევს მომხიბვლელის ხმით:

*) იხ. „დროება" N 2.

> მე ვძლევ მხოლოდ ძალას შემოქმედს,
> მე ვარ სიცოცხლე, მე ვარ სიკვდილი,
> მე ვასულდგმულებ სოფელს, სამყაროს!
> ხალხი დაღადებს ჩემს უკვდავს სახელს,
> მას ერთსა მხოლოდ ეთაყვანება,
> მაინც კი ბრმაა და ვერა მხედავს:
> მე ვარ მძლეთა-მძლე—მე ვარ ბუნება.

მგოსანს თან ახლავს სევდია. სევდია უცნაური სიმბოლოა თავგანწირულის სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომელიც განისაზღვრების დროითა და ჟამით, რომელსაც დასასრულიცა აქვს და დასაბამიც, რომელიც ამ ქვეყნიერია, დედა-მიწის ასულია, ჩვენის ხორცის ნაგლეჯია, ჩვენის ხორციელების აუცილებელი სალტოლველი საგანია.

მგოსნისა და სევდიას დამოკიდებულება ჩვენის ბუნების გაუმაძღრობის სიმბოლოა. „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი". ვინც ჩვენ გვაღმერთებს, მას ყურადღებასაც არ ვაქცევთ; ვისაც თაყვანსა ვსცემთ, გულგრილობით გვიგებს პასუხს და საუკუნო სევდითა და ვაით ავსებს ჩვენს არსებას. ეს „სევდია" „იფურჩქნებოდა, ნაზად ყვაოდა" მგოსნის „სხივსე, ცხოველმყოფელზე" და ამითაც ბედნიერადა და კმაყოფილად ჰგრძნობდა თავის თავს. სევდია მგოსანს, „ვითა აჩრდილი, მარად თან სდევდა, შორიდან ტრფობით შემოსცქეროდა". ის იმისთვისაც მადლიბელია, რაც სიამოვნება და სიტკბოება განიცადა მგოსნის სიახლოვეს და „სიყვარულისათვის, თუ ტანჯვისათვის, ან კმაყოფილი სწირავს მადლობას". ხოლო მგოსანს, რომელიც „ილტვის მიუწდომელს", ეს მშვენიერი და მომხიბვლელი არსება შეუმჩნევლადა რჩება და მხოლოდ სიკვდილის პირზე მიმდგარი, როცა ჰხედავს, რომ მარტო ლანდი-ღა ეჩვენება, იმ სხვა, არა ამ ქვეყნიურის „სიყვარულისა", თითქო სინანულსა ჰგრძნობს და ასე მიმართავს „სევდიას": „ვიცი, გიყვარვარ... მე სხვას ვეტრფოდი... ვისაც სიზმრად ვარ მხოლოდ მნახველი... შენ-კი, ძვირფასო, ულვთოდ გტანჯავდი, გულს გაწვეთებდი სამსალა-ნაღველს! ოჰ, მეგობარო, ვიცი, შემინდობ, ჩემ გულ-გრილობას—ცოცხლად დამმარხველს" და სხვა. მოგახსენეთ, თვით სახელსაც-კი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს-მეთქი. მართლაც, „სიყვარული", ის „სიყვარული", რომლის განცდაც მომაკვდავთ შეგვიძლიან, **სევდით** არის აღსავსე, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს ჩვენს იდეალს დაუსრულებლობისას, ჩვენს ლტოლვას აბსოლიუტისადმი. რეალობა განსაზღვრულია, შედარებითი მნიშვნელობა აქვს მას, ჩვენი გრძნობა საუკუნოებისა, უკვდავებისა-კი გვიშხამავს ამ რეალობის ღირებულებას; ვერ გვაკმაყოფილებს რეალობის დროებითი ხასიათი, რაიცა საუკუნო სევდით ავსებს ჩვენს გულსა და სულს.

ბერო, მგოსნის ერთი მეგობართაგანი, მგოსნის თავისებურის რელიგიურის სარწმუნოებრის განწყობილების წარმომადგენელია, „საიქიოს" წყურვილის გამომსახველია, რომელსაც „მსოფლიო იმიტომ დაუგმია, რომ მისდიოს სულ სხვა მცნებას... ის აწ მისდევს სულ სხვა ვარსკვლავს, მიესწრაფვის სულ სხვა კუნძულს, ის ოცნების მხარე არის, იქა ჰპოებს ის სიყვარულს. მთელი მისი როლი ამ მოგზაურობაში იმაშია, რომ სასოებასა და იმედს არ უკარგავს ტანჯულს მგოსანს, როგორც შეეფერება სარწმუნოებრიობის სიმბოლოს.

სოფელიც დავალებულია სკოლისათვის ყოველ წლივ 100 მან. გაიღოს, წრეულობით არ ახდევინებენ, რათა მიიზიდონ გლეხობა და სწავლის სურვილი გაუღვიძონ. კეთილი აზრი. კ. მ. ამირეჯიბი მადლობის ღირსია, რომ სკოლისთვის ამდენ მზრუნველობას იჩენს. Legatus.

## მოწერილი ამბები

**ონი.** ასრულდა ონელების დიდი ხნის წადილი. 29 ნოემბერს, როგორც იყო, გახსნეს სამკურნალო 6 საწოლით. სამკურნალო დროებით მოთავსებულია ნაქირავებ ხის შენობაში. იგი დაარსდა მთელ ზემო რაჭისთვის. სააგადმყოფო დიდ სამსახურს გაუწევს ხალხს: რადგან მოსიარულე ავადმყოფთ უსასყიდლოდ უნდა აძლიონ ხოლმე წამალი. 29 ნოემბერს ონელებმა დიდის ამბით იდღესასწაულეს. პარაკლისის შემდეგ, რომელსაც სოფლებიდან ბლომად დაესწრო ხალხი, ონის მცხოვრებლებმა სტუმრები მიიწვიეს კლუბის დარბაზში, სადაც მათთვის სადილი იყო გამართული. სადილზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა. ა.

—

**ბოდბისხევი** (ქიზიყი). ორი წლის წინად აქ დაარსდა სამკითხველო, რომლის საქმეებიც ჯერ-ჯერობით მშვენივრად მიდის. სამკითხველოში 700 ცალი მსხვილი და წვრილი წიგნია. იწერენ ყოველ დღიურ გაზეთებს.

ამ სოფელში იყო ერთი მასწავლებელი. ახლა მეორეც მოიწვიეს სახელმწიფო ხარჯით. მაგრამ ხალხი კიდევ უკმაყოფილოა, რადგან ოთხასამდე უმაწვილი სკოლის გარედ დარჩა. კიდევ ცდაში არიან გახსნან სამრევლო სასწავლებელი ერთ სართულიანი სახლი უკვე მზად არის სასწავლებლისათვის. **ქიოტორელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო თეატრი.** დღეს, სალამოს რვა საათზე, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს საიუბილეო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის ოთხ-მოქმედებიანი პიესა „ხანუმა".

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს როგორც თვით იუბილიარი, ისე ე. ჩერქეზიშვილისა და წრესთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

—

**ქუთაისი.** კვირას, 6 დეკემბერს, ქართულ თეატრში ხელმეორედ წარმოადგინეს „ქოჩრიანი ტოროლა". დასი კარგად მოიქცა, რომ ეს პიესა გაიმეორა და ისიც სახალხოდ, ფასდაკლებით, რადგან ამ პიესის შინაარსი ხალხის გულს უფრო ენათესავება. თამაში როგორც პირველად, ეხლაც კარგი იყო.

შემდეგი ქართული წარმოდგენა დანიშნულია კვირას, 13 დეკემბრისათვის. ქ-ნ დავითაშვილის სასარგებლოდ ითამაშებენ პროტოპოპოვის ახალ პიესას „ელინის ქალს" (Гетера Лаиса).

6 დეკემბერს თეატრის ბუფეტიდან, რომელიც ლოჟებსა და პარტერს გვერდზე აკრავს, წარმოდგენის პირველ ორ მოქმედების დროს შეუფერებელი და შეუწყნარებელი ხმაურობა მოისმოდა. პიესის გულდასმით მოსმენა—ჭიქებისა და ბოთლების ჩხაკუნისა და მტვრევის გამო, შეუძლებელი გახდა. მართალია, გამგეობის წევრნი ჩვენზე ნაკლებ არ იყვნენ აღშფოთებულნი ამ გარემოებით, მაგრამ თეატრის ღირსება-მნიშვნელობის დასაცველად უნდა იღონონ რამ. ამგვარი მოვლენა არ განმეორდეს. ვისაც ქეიფი სურს, მან შესაფერი ადგილის ამორჩევა უნდა იცოდეს. **ჯაფარ-ფაშა.**

—

**ოპერა ქართულად.** 13 დეკემბერი ქართულ მუსიკის ისტორიაში ღირსაღსანიშნავი დღეა. სწორედ ამ დღეს სრულდება ოცდა ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც განსვენებულ აღნიაშვილის თაოსნობით შესდგა ეროვნული ხორო და დაიწყეს კონცერტების მართვა საქართველოს სხვა და სხვა ქალაქში. ამ ხნიდანვე დაიწყო ქართ. ხალხური სიმღერების სისტემატიურად ნოტებზე გადაღებაც.

ოცდა ხუთის წლის წინად ამ ახალ საქმეს სათავეში უდგა ჩვენში კარგად ცნობილი იოსებ ივანეს ძე რატილი. ამ ხნის განმავლობაში მას შეუმჩნევლად უმუშავნია ქართულს მუსიკის საკეთილდღეოდ, რომელიც ჯერ კიდევ ახალი საქმეა ჩვენში.

ესე დაიწყო ამ 25 წლის წინად ქართული სიმღერების აღორძინება.

კვირას, 13 დეკემბერს, ქართულ სცენაზე დაიდგმება ქართულად ოპერა „სევილიელი დალაქი". ოპერების დადგმაც ჩვენში ჯერ ახალი საქმეა. მას ჯერ არ მოუპოვებია ქართულ სცენაზე საიმედო თანამგრძნობნი და მომუშავენი. ამას დრო და გარემოება მოიტანს. ჯერ-ჯერობით ოპერების ქართულად წარმოდგენის საქმეს სხვებთან ერთად სათავეში ჩასდგომია ისევ ის რატილი, რაც თავმდებია საქმის კარგად წაყვანისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი საზოგადოებაც გამოიჩენს თანაგრძნობას ამ საქმისადმი და ახალ საქმის მოთავეებს იმედს არ გაუცრუვებს.

—

**ხარკოვი.** ქართველ ერის სადღესასწაულო ხმას ქალაქ ხარკოვის სტუდენტობამაც მისცა ბანი. 30 ნოემბერს (29-ში კვირა იყო და უნივერსიტეტში აუდიტორია არ დაუთმეს) უნივერსიტეტის ერთ-ერთი აუდიტორია სტუდენტობითა და არა-სტუდენტ ქართველებით გაიჭედა... გამოჩნდნენ თავ-დახურული ქალებიც, რაც ორიგინალურ ელფერ-სა სდებდა კრებას. კრება გახსნა თავმჯდომარედ არჩეულმა სტ. ი. ლორთქიფანიძემ, რომელმაც მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრეთ გაბუნია-ცაგარლის მნიშვნელობა.

ამის შემდეგ რეფერატი წაიკითხა სტ. კინწურაშვილმა.

მერე კათედრაზე ავიდა სტ. დ. ელიოზიშვილი. მან თავის საფუძვლიან რეფერატში გააცნო დამსწრეთ ქართული თეატრის ბედ-იღბალი 1790 წლიდან, მეფე ერეკლეს დროიდან. აღნიშნა სამი მომენტი: 1. პირველი აღორძინება თეატრისა 1790 წელს და მიზეზი მისი მოსპობისა; 2. მეორე აღორძინება 1850 წ. ვორონცოვის მთავარ-მართებლად დანიშვნის შემდეგ და მისი მივიწყების მიზეზი; 3. მესამე აღორძინება 1879 წ. შემდეგ შეეხო ნატალიას არტისტიულ ნიჭს, მის მოღვაწეობას და სარგებლობას. ეს ხანები ქართულ თეატრის ისტორიიდან ისე ნათლად დაასურათა რეფერენტმა, რომ ყველა დამსწრე კმაყოფილი დარჩა.

დასასრულ თავმჯდომარემ დამსწრეთ წაუკითხა ტფილისში უკვე გამოგზავნილი ადრესი და დეპეშა. **დამსწრეთაგანი.**

## სასამართლო

### როგორ იკარგება მამულები.

თუ როგორის მოხერხებით და მოტყუებით ეცლებოდათ და ეხლაც ეცლებათ ზოგიერთებს ხელიდან აუარებელი დაუფასებელი მამული, ამას მჭერმეტყველურად მოგვითხრობს მეტად დამახასიათებელი საქმე, რომელიც ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა 10 ნოემბერს და რომელიც მოკლედ უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში.

საქმე შეეხებოდა თავად გიორგი ილიას ძე ჯამბაკურ-ორბელიანს და მის კრედიტორს გრაფინია ვარვარა მიხეილის ასულს ლორის-მელიქოვისას. რომ უფრო ნათელვყოთ მკითხველისათვის ეს საქმე, დავიწყობ ცოტა შორიდან.

1902 წელს მაისის ოც-და-თერთმეტიდან თავ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურ-ორბელიანის მამულს უმაღლესის ბრძანებით დაენიშნა „ოპეკა", რომელშიაც შედიოდნენ პრინცი პ. ოლდენბურგელი, (ამ ღლოს აღარ ყოფილა). ნაფიც-ვექილი გ. სიდამონ-ერისთავი და გრაფი ტ. ლორის-მელიქოვი. ოპეკუნის ლორის-მელიქოვის მეუღლეს გრაფინია ვარვარა მიხეილის ასულს მიუღია რა ოპეკუნებისაგან სავალდებულო ბარათები დაახლოვებით ოთხმოცდა სამი ათასი მანეთისა (საიდან გაჩნდა ეს ვალი ჩვენთვის საიდუმლოებას შეადგენს), აღუძრავს საჩივარი პეტერბურგის ოლქის სასამართლოში; ითხოვდა თავ. ორბელიანის ოპეკუნებისაგან (ერთი ოპეკუნი მისი ქმარი იყო) დაკმაყოფილებას. კანონისამებრ სასამართლოს მოსაწვევი უწყებები დ-უგზავნია ოპეკუნებისათვის, მაგრამ ისინი არ გამოცხადებულან სასამართლოში და სასამართლოს მათ დაუსწრებლად გრაფინია ლორის-მელიქოვის სასარგებლოდ გადაუწყვეტია საქმე, ხოლო როდესაც ამაზე სასამართლოს შეუტყობინებია ოპეკუნებისათვის და პასუხი მოუთხოვნია, მათ არავითარი პასუხი არ მიუციათ, რის გამოც დადგენილება ძალაში შესულა და გრაფინიას აღმასრულებელი ფურცელი მიუღია. არსებულ კანონის ძალით, გრაფინიას პირველად ოპეკუნთა სამმართველოსთვის უნდა მიემართნა ვალის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ იგი ასე არ მოქცეულა და აღმასრულებელი ფურცელი გამოუგზავნია ტფილისში თავის ვექილისათვის. ვექილსაც ბევრი აღარ მოუცდია, განცხადება შეუტანია სასამართლოში და 1909 წელს, 11 იანვარს, სასამართლოს ბოქაულს წაუყვანია თავ. ორბელიანის მამულების ასაწერად. ამის შესახებაც უცნობებიათ ოპეკუნებისათვის, რომ მამულის აღწერისა და დაფასების დროს დასწრებოდნენ, მაგრამ მათ არც ამისთვის მიუქცევიათ ყურადღება და თავიანთ ვექილისთვისაც კი არ შეუტყობინებიათ. მკითხველს მოეხსენება, რომ ამისთანა მოვალე ფერადაბას არ დაიწყებდა და არც მოუცდიდა ოპეკუნების ან მათი ვექილის გამოცხადებას, ნამეტნავად მაშინ, როდესაც დაინახავდა ყოვლად შემკულს და მშვენიერ მამულს.

ასეც მოქცეულა გრაფინიას ვექილი. თავ. ორბელიანს ტფილისიდან 15 ვერსის მანძილზე, ყარსის გზაზე, აქვს სრულიად უვალო მამული კუმისი-იაღლუჯა, რომელიც შეიცავს 1400 დესეტინას და შესდგება სახნავ-სახოვარ ადგილებისა, ვენახებისა და სამკურნალო წყლებისაგან და ღირს, მცოდნეების აზრით, ნახევარ მილიონ მანეთად. როგოლაც ჰხედავთ, მშვენიერი ლუკმაა. მოვალის გრაფინიას ვექილს ამ ვალიდან გაუნაღდებია მხოლოდ 53,000 მანეთი, ე. ი. ამ ფულში აუწერია სხვა და სხვა მამული და მასთან ერთად კუმისი-იაღლუჯის მამულებიც. 500,000 მანეთად ღირებული კუმის-იაღლუჯი დაუფასებიათ მხოლოდ 25,000 მანეთად, ხოლო დანარჩენი 28,000 მანეთი სხვა და სხვა მამულებზე დაუდვიათ.

ჯერ მამულის საჯარო ვაჭრობაც დაინიშნა ტფ. ოლქის სასამართლოში. შეატყობინეს ოპეკუნებს, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ოპეკა უკვე მოეხსნათ თავ. გ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის მამულებისთვის.

12 მაისს საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ე. ი. ვაჭრობაში არავინ შევიდა, რადგან იმის მაგივრად, რომ ყოველი ნაჭერი ცალცალკე აწერილიყო, როგორც ამას კანონი მოითხოვს, მამული ერთიანად ყოფილა აწერილი და ვერ ვინ ვერ გაუბედნია ვაჭრობაში შესვლა. ეს გარემოებაც ბევრს გასაკვირვლად რჩებოდა. თუ მოვალეს ვალის განაღდება უნდოდა, უეჭველად ნაჭრობლივ უნდა აეწერა, მაგრამ გაკვირვება დიდხანს არ გაგრძელებულა და მიზანიც გამორკვეულა.

მიმდინარე წლის 22 მაისს გრაფინია ლორის-მელიქოვის ვექილს პაპოვიანს თხოვნა მიუცია ტფ. ოლქის სასამართლოსთვის. პაპოვიანი სასამართლოს სთხოვდა: 1. საჯარო ვაჭრობა თავ. გ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის კუმის-იაღლუჯის მამულის გაყიდვისა, რომელიც მოხდა ამავე სასამართლოში 12 მაისს, შემდგარად არ ჩაითვალოს და 2. თავ. გ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის მამული დაუმტკიცდეს 25,000 მანეთში გრაფინია ვ. ნ. ლორის-მელიქოვისას. ეს საქმე სასამართლომ 1909 წელს 16 ივლისს გაარჩია და გამოიწვია თვით თავ. გ. ი. ორბელიანი, რომლის ინტერესებსაც იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ა. ი. ანდრონიკაშვილი, სასამართლოში ანდრონიკაშვილმა ბევრი გასაბათილებელი საბუთი წარადგინა პაპოვიანის წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლომ მაინც შეიწყნარა პაპოვიანის თხოვნა და დაადგინა: 1. საჯარო ვაჭრობა თ. გ. ი. ორბელიანის მამულზე შემდგარად არ ჩაითვალოს და 2. დაემტკიცოს 25,000 მანეთში გრაფინია ვ. მ. ლორის-მელიქოვისას კუმის-იაღლუჯის მამული.

ტფ. ოლქის სასამართლოს დადგენილებას არ დაეთანხმა თავ. გ. ი. ორბელიანის ვექილი ანდრონიკაშვილი და საქმე სამოსამართლო პალატაში განასაჩივრა. აი რასა სწერს დაახლოვებით ორბელიანის ვექილი ანდრონიკაშვილი თავის თხოვნაში პალატის მიმართ, და რითი ასაბუთებს თავის უკმაყოფილებას: კრედიტორი თავ. გ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანისა, გრაფინია ლორის-მელიქოვისა, არის მეუღლე იმ ოპეკუნთაგანისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით ჰყავდა დანიშნული ორბელიანის მამულს. გრაფინიას მიუღია რა ოპეკუნებისაგან სავალდებულო ბარათები, განუზრახავს ვალის ნაწილის 53,000 მანეთის აღება ორბელიანის მამულიდან, რომელიც შეიცავს 1400 დესეტინას, შესდგება სახნავ-სახოვარ მამულისა, ხილის ბაღებისა, ვენახებისა და სამკურნალო წყლებისაგან და ღირს 500,000 მანეთად. გრაფინიას ასეთ განზრახვის წინააღმდეგ ოპეკუნებს არა ვითარი აქტიური ზომა არ მიუღიათ ორბელიანის მამულის დასაცველად, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მოხდა საჯარო ვაჭრობა და მამული დაუმტკიცდა მოვალეს გრაფინიას სულ მცირე ფასში, სახელდობრ 25,000 მანეთში. მოვალეს კანონით პირველად ოპეკუნთა სამმართველოსათვის უნდა მოეთხოვა ვალი და არ მიემართა აღმასრულებელ ძალისათვის. არც აღმასრულებელ ფურცლის სისრულეში მოყვანა მოხდა ისე, როგორც ამას წესი მოითხოვს, ე. ი. ორბელიანის მხრივ არავინ დასწრებია არც მამულის აღწერას და არც მის დაფასებას. თვითონ აწერაც სხვა სასამართლოს ბოქაულს მოუხდენია და არა იმას, რომლის სამოსამართლო რაიონს ეკუთვნის ეს მამული. ამას გარდა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მამული დაუმტკიცეს მოვალეს, ნაადრევად მიმაჩნია, რადგან ამაზე ორივე მხარეს თანხმობა არ გამოუცხადებიათ. ყველა ამ მოსაზრებით ვთხოვ სამოსამართლო პალატას, გააუქმოს ტფ. ოლქის სასამართლოს დადგენილებაო.

ეს თხოვნა პალატამ 10 ნოემბერს განიხილა და დაადგინა: გაუქმდეს ტფ. ოლქის სასამართლოს დადგენილება და აგრეთვე ჩაითვალოს გაუქმებულად ის აღმასრულებელი მოქმედება, რომელიც გამოიწვია გრაფინია ვ. მ. ლორის-მელიქოვის მიერ ოლქის სასამართლოდან გამოტანილმა აღმასრულებელმა ფურცელმა.

აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ორბელიანის ვექილს ა. ი. ანდრონიკაშვილს მოლაპარაკება ჰქონია ტფ. სათავად-აზნაურო ბანკთან ამ მამულის დაგირავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამოსამართლო პალატა გააუქმებდა ტფ. ოლქის სასამართლოს დადგენილებას, და შეკრული მამული განთავისუფლდებოდა, მაშინ ბანკი იგირავებდა ამ მამულს 70,000 მან., რითიც მოვალე უნდა დაეკმაყოფილებინათ. მაგრამ ყველაფრიდან აშკარადა სჩანს, რომ გრაფინიას და მის ვექილს არაფრის გულისთვის არ უნდათ ვალის ფულად მიღება; მათ უნდათ უსათუოდ მამული დაინარჩუნონ. აი ამიტომ დაარღვია თუ არა პალატამ ოლქის სასამართლოს დადგენილება, მოვალემ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შეჰკრა მამული ხელ-ახლა ასაწერად და ვაჭრობის დასანიშნავად, ისე რომ ანდრონიკაშვილმა მამულის დაგირავება ბანკში და ფულის გამოტანა ვეღარ მოასწრო. ეხლა მამული კვლავ აიწერება და დაინიშნება გასასყიდად.

## უცხოეთი

### ინგლისის პარტიების საარჩევნო პროგრამები.

როგორც ვიცით, ინგლისში უკვე დაიწყო დიდი წინასწარი საარჩევნო აგიტაცია და ორივ დიდ პარტიის — ლიბერალების და კონსერვატორების —

---

მთელი პოემა სავსეა ფრიად შესანიშნავ და ჩვენის პოეზიისათვის ორიგინალურ აზრებით სიყვარულისა, სიკვდილისა და ბუნების შესახებ. ბუნების შესახებ ზევით მოგახსენეთ. ახალგაზრდა პოეტის „ბუნება" პანტეისტურ, დიადის საიდუმლებით არის შეზავებული. ხოლო არა ერთხელ მითქვამს, რომ თითქმის გასაოცარია, რატომ უხვევდნენ გვერდს ჩვენი საუკეთესო მწერლები „სიკვდილის" საგანს. არც ჭავჭავაძეებს, არც ორბელიანს, არც ბარათაშვილს თითქმის არა აქვთ რა განსაკუთრებით ამ საგნის შესახებ. შანშიაშვილის პოეზია დიდ ყურადღებას აქცევს ამ საგანს და მრავალის მხრით განიხილავს მას, „გუნდი შავი აჩრდილებისა" სიკვდილს ყოვლის მომსპობლადა სახვენ და ადამიანს, მის მონას, საბრალოდ. „ყორანს" კაცი მიაჩნია ულვთო სიკვდილის მონად. „სიყვარული" მგოსანს აგონებს, რომ სიცოცხლე გარდუვალის კედლებით აშორებდა მას და მხოლოდ, როცა „მოკვდები, გვამსა მტვერს შეუერთებ, ჩემთან სიკვდილი შემოგაერთებს". სიკვდილის პირზედა ხარ და სწორედ „მხოლოდ ეხლა მიახლოვდებიო", მაშასადამე, საუკუნო სიყვარული, საუკუნო სიხარული და ბედნიერება სიკვდილით მოიპოვება. სიკვდილი კი თავის თავს „მყუდროების სამეფოდ" აცხადებს და ანუგეშებს—არ ვარ საშიში, როგორცა გგონია, მე შეგიბრალებ მრავალგზით ტანჯულსაო. ასე რომ სხვა და სხვა მხრით სიკვდილი სხვა და სხვა ნაირად გვეჩვენება, სხვა და სხვა ნაირს გრძნობასა და აზრს იწვევს ჩვენში და ეს შანშიაშვილმა აღნიშნა ნიჭიერად.

საყურადღებოა შანშიაშვილის ფორმაც, სტილი. მრავალ-გვარი ლექსთწყობილება (ხუთ-მარცვლიანი, რვამარცვლიანი, სამ-მარცვლიანი, ექვსმარცვლიანი, ათ-მარცვლიანი), ერთსა და იმავე პოემაში სიმდიდრე რითმისა, სხვა და სხვაობა რითმებისა, ენა მეტად მართალი და სწორი,—ყველა ეს დიდად საყურადღებოა ჩვენის მწერლობისათვის. ასეთი გახლავთ ეს პოემა, რომელიც როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ საყურადღებოა, და მრავალ იმედის აღმძვრელი, თუმცა, ჩვენის აზრით, ავტორმა სავსებით ვერ მიაღწია აზრის სიღრმის მხატვრულად გამოხატვას და ამიტომ თითქო მთლიან შთაბეჭდილებას არ იწვევს მკითხველში.

ამ პოემის გარშემო ასტეხეს კამათი: შანშიაშვილმა ფრანგი-მწერალი როსტანი გაჰქურდაო. ვნახოთ რა ღირსებისაა ასეთი ცილისწამება.

როსტანმა დასწერა ამ რამდენიმე წლის წინად (მგონი ეს პირველი ნაწარმოებიც არის) დრამა ლექსად: „ლა პრენსეს ლუანტენ". აქაც ერთი მგოსანი მიდის მშვენიერის ასულის სანახავად თან მისდევს მეგობარი და მღვდელი. ისინი ზღვით მიდიან, და ეს მხარე ცნობილია გეოგრაფიულად და ოცნების მხარე როდია. იმ ქალის სიმშვენიერეც გაგებული აქვს მომღერალ ტრუბადურების შემწეობით. გზაში სურსათი შემოაკლდებათ და შიმშილით ლამის ამოსწყდნენ. ამ დროს სანატრელი კუნძულიც გამოჩნდება მგოსანი ავად არის და თავის მეგობარს ჰგზავნის, ასე ვსთქვათ „მზეთ უნახავის" სანახავად. იქ ეს ქალი გაუმიჯნურდება მგოსნის მეგობარს და თავდავიწყებამდის მიიყვანს. მაგრამ ცოტა-ხანს შემდეგ გამოერკვევა და დაუწყებს თხოვნას, წავიდეს ავადმყოფ მგოსნის სანახავად. ქალიც შეიბრალებს, წავა და მომაკვდავ მგოსანს ამბორს უყოფს. მგოსანი შეუყვარდება. მგოსანი ჰკვდება და ქალი კი მონასტერში შედის. მღვდელი კომიკურ ხასიათს აძლევს დრამას, თავის სიტყვებით, რომელიც დრამის ფინალია: ყველაფერი ღვთის სასარგებლოდ კეთდებაო, ე. ი. ქალმა რომ თავი მონოზნად განიწირა.

ეს გახლავთ დრამის სიუჟეტი. როსტანმა პირდაპირ რომანტიული დრამა აადგინა. ისარგებლა ჩვეულებრივის საშუალო საუკუნოების თქმულებით და გამოსახა დრამატიულ ფორმით. აზრი ისა აქვს გატარებული, რომ დიდი იდეალი, რომელსაც თავგანწირვით ემსახურება ვინმე, სიკვდილზედაც კი გაამარჯვებინებს კაცს და ამ იდეალის მიღწევა შესაძლებელია. დიდი გრძნობით გაცხენთილი ადამიანი გაიტაცეს თვით უბრალო, წვრილმან სულის კაცსაო. მგოსნის გატაცება შიმშილსა და წყურვილსაც კი ავიწყებთ გემის მოსამსახურეებს და ისინიც მასთან ერთად მიისწრაფვიან ამ იდეალისაკენ.

პირველ ყოვლისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, თვით როსტანის დრამის არაკი არავითარ ორიგინალობით აღბეჭდილი არ არის და აღებულია ჩვეულებრივ რაინდულ ლეგენდებიდან. ხოლო შანშიაშვილის პოემის შინაარსი ისე წააგავს მას, როგორც როსტანის პოემის შინაარსი „ვეფხვის-ტყაოსანს. „მე „ვეფხვის ტყაოსნის" გმირები მოვიხსენიე ამ რვა წლის წინად, როცა „ცნ. ფურც."-ში მქონდა გარჩეული როსტანის დრამა*). თუ გნებავთ, აქაც კი არის თავისებური მსგავსება. ტარიელიც მიდის ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად, იმასაც სჭირია ზღვისა და ხმელეთის გავლა; მასაც ჰყავს მეგობარი ავთანდილი და ასმათი და, თუ გნებავთ, ფრიდონიც (მღვდლის მაგიერ). ისიც შეეყრება ბევრის ტანჯვისა და წვალების შემდეგ ნესტანს და ისიც ამ შეყრას უნდა უმადლოდეს ავთანდილს. ეჭვი არა მაქვს, ჩვენის ლიტერატურის „მეცენატის" „ტიფ. ლისტ."-ს თანამშრომლები რუსთველს დასწამებენ: აი, შე ქურდო, როსტანს მოჰპარე შენი უკვდავი პოემაო. რა გაუჭირდებათ. როსტანიც რომ არა, ამისთანა არაკს ათასს მოსძებნით ფრანგულ და სხვა ევროპიულ ენაზედ.

შანშიაშვილის პოემა იმდენად ჰგავს როსტანის დრამას, რამდენადაც „ვეფხვის ტყაოსანს" და ბევრად უფრო გასაგებია და ჰკუასთან ახლო, რომ შანშიაშვილი რუსთველის გავლენის ქვეშ უფრო იქნებოდა, ვიდრე როსტანისა. ამას გარდა, ზემოდ მოყვანილ შინაარსიდან დაინახავთ, რომ მგოსანს თან ახლავს მისი ბუნების განუყრელი ნაწილები, სხვა და სხვა ფერიები, ყორანი, სიკვდილის და სხვა აჩრდილი და ლანდები. მთელ აზრს პოემისას სცვლის ის, რომ თუ როსტანის მგოსანს ცოცხალს იხილავს „მზეთ-უნახავი", შანშიაშვილის მგოსანი კი არა, მზრასავარიც მიუახლოვდება თუ არა სიყვარულს, კვდება. გარდა ამისა, შანშიაშვილს ჰყავს გამოყვანილი „სევდია", რომელიც ღრმა აზრს აძლევს მთელს პოემას. აზრიც სულ სხვაა. თუ როსტანის მგოსანმა იდეალს მიაღწია და ნახა სატრფო, აქ მგოსანმა ვერა ნახა და ვერც ნახავდა „სიყვარულს", რაკი სიყვარული თვით ამბობს: „მიპოვე, წამით დაგატკბე, მაგრამ მოგიდნობს ეს ხილვა, სამარეს მებარებიო" იქ იდეალს მიაღწევს მგოსანი, და კმაყოფილი კვდება, აქ კი მგოსანი გულ მწყლული ამბობს: „ვერა ვერ ვპოვე წმინდა მიზანი არსებობისა და გოდებს სულიო". იქ მიზანი მიღწეული და ოპტიმისტიური ბოლო. აქვს დრამას, აქ კი ყორანი დასჩხავის კაცის ბედს:

> ბედს: „და ჟამი მიჰქრის... ბრძოლით თან მისდევთ.
> „ერთი იშვების, მეორე კვდება.
> „ყველას მოუდნობს მეფე სიკვდილი
> „უკვდავი არის ამაოება.

აი, აზრი პოემისა—„უკვდავი არის ამაოება". მაგრამ აქ ამ შაბლონურად გადაქცეულ პესსიმიზმზე არ შეჩერდა ავტორი და პანტეისტურის ოპტიმიზმით დაამთავრა: მკვდარ პოეტის ძეგლად, მის საუკუნო საიდუმლო მასპინძლად „ტურფა ბუნება" აღიარა, ხან რისხვით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, ხან მოკამკამე, ფურჩქვნილი ნაზი". აქ ისეთივე მსგავსება, როგორც ილიას „განდეგილსა" და წმ. მარტინიანის ცხოვრების შესახებ ლეგენდის შორის. და „განდეგილის" შინაარსისთანა ათასი რამე დაწერილა (ფლობერი, ზოლა, ფრანსი), მაშასადამე, ან ილიას „განდეგილია" მოპარული, ან ამ მწერლების ნაწარმოებნი"?

თვით „ვეფხვის-ტყაოსანის" შინაარსი ნასესხებია, მაშ იგიც პლაგიატია? ბარათაშვილის „მერანი", ეს ობოლი მარგალიტი ჩვენის პოეზიისა, მიცკევიჩის „ფარისსა" ჰგავს უფრო ბევრად, ვიდრე შანშიაშვილის როსტანის დრამას, მაშასადამე, „მერანი" პლაგიატი ყოფილა? შექსპირის დრამების სიუჟეტი სხვა და სხვა წყაროდან არის ნასესხები, მაშ პლაგიატი ყოფილა? გრ. ორბელიანის სადღეგრძელო—ჟუკოვსკის პოემასა ჰგავს, მაშ პლაგიატი ყოფილა? ევრიპიდის „მედეა"-ში და აკაკის „მედეა"-ში ერთი და იგივე სიუჟეტია, მაშ პლაგიატობაა აქაც? ევრიპიდის „იპპოლიტ"-ში, როსინის „ფედრა"-ში და იტალიელ ცნობილ მწერლის ანუნციოს უკანასკნელ დრამა „ფედრა"-ში ერთი და იგივე არაკია ტრაგედიის ფორმით შემუშავებული, მაშასადამე, პლაგიატობაა? სულ ბოლოს უაილდის დრამის ნაწყვეტი „ლა სენტკურტიზან" ფრანსის რომანის „ტაისის" სიუჟეტის განმეორებაა. აბა, პლაგიატი ყოფილა? თვით უაილდის საუცხოვო და შესანიშნავ დრამის „სალომეს" სიუჟეტი სახარებიდან არის აღებული, პლაგიატი ყოფილა?

ან და იქნება ფორმალურ მხარეს მიაქციონ ყურადღება*) ჩვენებურმა ესთეტიკოსს-იურისტებმა. მოხსენებულ მწერლებს ნასესხები აქვთ წყარო, საიდან ისესხეს და შანშიაშვილს კი არაო. ამიტომაც უნდა ვაწყენინოთ მათ: არც ბარათაშვილს, არც ორბელიანს, არც უაილდს, არც ფრანსს არც ერთს

*) იხ. „ცნობ. ფურცელი", 1901 წ. 12 ივლისის ნომერი.

*) მართლა პლაგიატორობა იმაშიაც ნახეს, რომ შანშიაშვილსაც და როსტანსაც ზღვა და ზღვის ღმერთები ჰყავთ ნახსენები. ასე რომ ვსთქვათ, ბარათაშვილს თავისი მშვენიერი ლექსი „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს" მოუპარავს საფოსთვის „ნამდვილად მშვენიერია ის, ვინც სულით დიდებულია" ან ალ. ჭავჭავაძეს თავისი „ლოთებო ჩვენის" ზოგიერთი ადგილი ანაკრეონისთვის (ძველ ბერძენთა მწერალია საფოსა და ალკეოს); რუსთველს თავისი «რაც ვისა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას ენდობდეს" მარკ ავრელიუსისთვის? (იხ. კოგანის. „საბერძნეთის ლიტერატურა", გვერდი 136 და 141) და რენანი „მარკ ავრელი".

მეთაურებმა უკვე გამოაცხადეს თვიანთი საარჩევნო პროგრამა. ლიბერალ პარტიის მეთაურმა, პირველმა მინისტრმა ასკვიტმა თავის პარტიის პროგრამა გამოაცხადა დიდებულ კრებაზე, რომელიც ლიბერალებმა მოახდინეს ლონდონის უდიდეს დარბაზში—ალბერტ-ჰოლში. ეს დარბაზი იტევს 10 ათას კაცს.

ეს უზარმაზარი დარბაზი ძალზე იყო გაჭედილი. ხალხს უშვებდნენ ბილეთით, რომელიც სამი დღით წინ ვე მთლად გაყიდულიყო. მრავალ ათას მსურველს უთხრეს უარი. კრებას დაესწრნენ ინგლისის ყველა კუთხის ლიბერალურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი, 200-მდე წევრი პარლამენტისა, თითქმის მთელი სამინისტრო. ქალები-კი არ შეუშვეს კრებაზე, რადგან სუფრაჟისტების დემონსტრაციისა ეშინოდათ. კრების წინა დღეს დარბაზი დაათვალიერეს და შემთხვევით ერთი დამალული სუფრაჟისტი ქალი იპოვეს. უფრო გულდასმით გაჩხრიკეს დარბაზი და კიდევ რამდენიმე ქალი აღმოაჩინეს დამალული. მათ უნდოდათ ასკვიტისთვის ლაპარაკი დაეშალათ. ამ მიზეზით ქალები სულ აღარ შეუშვეს კრებაზე.

კრებამ დიდის თანაგრძნობით და ალტაცებით მოისმინა პირველ მინისტრის შესანიშნავი სიტყვა. მსმენელნი უოველ წამს ძლიერის და ხანგრძლივის ტაშისცემით აჯილდოვებდნენ ლიბერალურ პარტიის მეთაურს, რომელმაც მკაფიოდ, გაბედულად და გულახდილად გააცნა საზოგადოებას თავისი პროგრამა.

ლიბერალთა პროგრამის უმთავრეს მუხლებს შეადგენენ ბრძოლა ლორდების წინააღმდეგ, ბიუჯეტისა და თავისუფალ ვაჭრობის დაცვა. ასკვიტმა სთქვა: „მე არა მსურს ლორდთა პალატის გაუქმება, მაგრამ მისი აღაგმვა კი აუცილებლად საჭიროა. თუ ლიბერალები გაიმარჯვებენ, ისინი თავდაპირველად აღადგენენ და კანონად აქცევენ ინგლისის ძველ წესს, რომ ფინანსის საქმეებში დეპუტატთა პალატას აქვს უზენაესი და განსაკუთრებული უფლება; ამის თაობაზე უთუოდ გამოცემულ იქმნება დაწერილი კანონი, რომ ლორდებმა ამიერიდან ვეღარ გაბედონ ბიუჯეტის უარყოფა; ამას გარდა, ლიბერალური სამინისტრო მეფეს მოსთხოვს ნებას ლორდთა პალატის საკანონმდებლო უფლების შესაზღუდად. ის რაც ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ხდებოდა, აღარ უნდა მოხდესო,—სთქვა ასკვიტმა, აქამდე ლორდებს უცილობელი უფლება აქვთ კანონების უარყოფისა. ეს უფლება უეჭველად უნდა მოისპოს (მქუხარე ტაშისცემა).

ამავე დროს პირველმა მინისტრმა დაუმატა, რომ რასაკვირველია, დეპუტატთა პალატასაც დასჭირდება ზოგიერთი რეფორმა, რომ იგი გახდეს ნამდვილი, ჭეშმარიტი გამომთქმელი ხალხის სურვილისა. ამ ჟამად დეპუტატთა პალატა ნამეტან გრძელის ვადით, 7 წლით, ირჩევა; ეს ვადა უთუოდ უნდა შემოკლდეს 4 ან 5 წლამდე. ამას გარდა, უნდა დავაწესოთ სრული საყოველთაო საარჩევნო უფლება ყველა სრულ წლოვან მოქალაქისთვის. ქალების საარჩევნო უფლებაზე ასკვიტმა სთქვა: მე ოვითონ დღესაც წინააღმდეგი ვარ ამ უფლებისა, მაგრამ ხელახლად ვაცხადებ, რომ როდესაც რიგი მოვა ქალების საარჩევნო უფლებამდე, ლიბერალური სამინისტრო დაემორჩილება დეპუტატთა პალატის დადგენილებასო.

დასასრულ პირველმა მინისტრმა განაცხადა, რომ ლიბერალები მოითხოვენ სასკოლო და სასმელების რეფორმებს, რომლებიც უარჰყო ლორდთა პალატამ, და ავტონომიას ირლანდიისთვისო.

როდესაც ასკვიტმა ირლანდიის ავტონომია ახსენა, კრებამ ძლიერი ტაშის ცემა ასტეხა. ეს ტაშისცემა საყურადღებოა: 1906 ლიბერალების მეთაურებმა ვერ გაბედეს ირლანდიის ავტონომიის შეტანა თვიანთ პროგრამაში; პირიქით ისინი დაჰპირდნენ ამომრჩეველებს, თუ სამინისტროს შევადგენთ, ირლანდიის ავტონომიაზე ხმას არ ამოვიღებთო.

ასკვიტის შემდეგ, ილაპარაკეს ფინანსთა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა და ვაჭრობის მინისტრმა ჩერჩილმა, ხალხმა ორსავე მინისტრს აღტაცებული ოვაცია გაუმართა.

კონსერვატორების მეთაურმა ბალფურმაც სწორედ იმავე დღეს გამოსცა საარჩევნო მოწოდება, მაგრამ ეს ასკვიტის გულახდილ სიტყვასთან შედარებით უფერული და არა გულწრფელი გამოდგა.

კონსერვატორების მეთაური უსაყვედურებს ლიბერალებს, რომ მათ ერთთად ერთი საიდუმლო მიზანი აქვთ: ლორდთა პალატის გაუქმება და ერთპალატიან სისტემის დაწესება. ბრძოლა ლორდების წინააღმდეგ მათ განგებ ასტეხეს, ამ ბრძოლით მათ სურთ საზოგადოებას დაავიწყებინონ თავიანთი დამღუპველი ბიუჯეტი. ლიბერალების ბიუჯეტი შეამცირებს ინგლისის სიმდიდრეს და გაამრავლებს უმუშევართა რიცხვს. უმუშევრობის წინააღმდეგ არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება—ესაა სატარიფო რეფორმაო. მაგრამ ბალფურმა არც ეხლა გამოსთქვა მკაფიოდ, თუ რანაირი უნდა იყოს ეს რეფორმა.

# 23 ოქტომბრის ვაჭრობა

## წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.

გადაიხადეს ნავაჭრის წილი: 98) მელიტონ ბაქრაძემ და იოს. გორგეზიანმა—1 მან. 99) კოტე გვარამაძემ—50 კაპ. 100) სოლომონ კაციტაძემ—1მ ან 101) სეფე პანჩიკიძემ—1 მან. 102) დიმ. სხირტლაძემ და ისაკ არჩვაძემ—50 კაპ. 103) გერასიმე აკოფოვმა—30 კაპ. 104) ამირან არჩვაძემ—1 მან. 105) პავლე მარნაშვილმა—50 კაპ. 106) გრიგოლ გველესიანმა—1 მან. 107) იოსებ პეტრუსოვმა—50 კაპ. 108) ალექსი მაისურაძემ—1 მან. 109) არტემ და ტრიფონ კოტარიებმა—50 კაპ. 110) ალექსი სირაძემ—50 კაპ. 111) იასონ გორგიაშვილმა—50 კაპ. 112) დავით გრატიაშვილმა—50 კაპ. 113) დოროყაშოვმა და ახმეტელოვმა—50 კაპ. 114) მიხეილ პაპუაშვილმა—50 კაპ. 115) გიორგი აფრასიონმა—2 მან. 116) გიორგი კაკაბაძემ—2 მან. 50 კაპ. 117) გიორგი დემუროვმა—75 კაპ. 118) მელქო არისტაკოვმა—2 მან. 119) პელაგია ლომიძემ—1 მან. 120) ილია ბარნაბაშვილმა და გიორ. ზალდასტანიშვილმა—1 მან. 50 კაპ 121) ივანე კახეთილაძემ—1 მ. 50 კაპ. 122) ნიკ. პაპიაშვილმა—50 კ.

# ეგნატე ნინოშვილის ძეგლი

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით ჩემ მიერ კავკავში შეკრებილ 17 მან. 05 კაპ. ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად

---

არა აქვთ ნათქვამი, საიდან აქვთ ნასესხები სიუჟეტი, მოგახსენეთ თვით როსტანსაც არა აქვს ნათქვამი, რომელ რაინდულ ზღაპრიდან აიღო თავის დრამის არაკი. და ეს იმიტომ, რომ არაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ყველაფერი მარტო იმაზედაა დამოკიდებული, თუ როგორ არის შემუშავებული, რა ფორმაშია ჩამოსხმული არაკი. ამის დამამტკიცებელი მაგალითი საფრანგეთის ლიტერატურიდან უნდა მოვიყვანოთ.

მოგეხსენებათ კორნელი საფრანგეთის ტრაგედიის ჩამავალი მზე იყო იმ დროს, როცა როსინი ამომავალად იყო მიჩნეული. ერთმა პრინცესსამ (მგონი ჰერცოგ ორლეანელის მეუღლემ) მოინდომა ამ მწერალთა გამოცდა და მისცა როსსინსა და კორნელს ერთი და იგივე სიუჟეტი და მოსთხოვა დაეწერათ დრამა. დასწერეს ორივემ დრამა („ტიტ და ბერენისი" კორონელმა და „ბერენისი"—როსინმა) და ამან გადასწყვიტა კორნელის ბედი. კორნელი დამარცხებული გამოვიდა და როსინის გამარჯვება ყველამ აღიარა. ეს ისტორიულ-ლიტერატურული მაგალითი დიდ მნიშვნელოვანია და დამამტკიცებელია მისია, რომ ხელოვნებისთვის არაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კიდევ ავიღოთ მაგალითი ძველ ელლინთა ხელოვნების ისტორიიდან. ელლინი მოქანდაკეები თავიანთ უკვდავებით შემოსილ ქანდაკებებისათვის ერთსა და იმავე სიუჟეტს იღებდნენ (ვენერა, აპოლლონი და სხვა) და თითქმის წვრილმანთა განსხვავებაში გვიჩვენებდნენ მათ გენიოსობას.

ან კი ამდენს რასა ვლაპარაკობთ. ყველასათვის ცხადია, რომ შანშიაშვილის პოემას არაფერი სცხია პლაგიატობისა და ლიტერატურაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულ არაკის სესხებაც კი არ არის აქ. შესაძლოა ა. შანშიაშვილს წაეკითხოს ან ენახოს სცენაზე დადგმული როსტანის დრამა, შესაძლოა რაიმე ბუნდოვანი გავლენა ჰქონდეს მაზედ, მაგრამ არა თუ პლაგიატობას, მიმბაძველობასაც კი არა აქვს აქ ადგილი. მაგრამ ეს რად ეპირვებათ გამკილველთ. მათ სხვა რამ აწუხებთ: შანშიაშვილის დაფნის გვირგვინები არ ასვენებთ... დაფნის გვირგვინები, რომელშიაც ჩაწნულია შური, მტრობა, ცილისწამება და ყოველგვარი უბედურება, რაც თან დაჰყვება ხოლმე ყოველ ქართველ მწერალს, ვისაც ნიჭი აქვს მიმადლებული *).

კიდევაც, რომ პლაგიატი იყოს ეს პოემა, ჯერ ერთი შანშიაშვილის ხანაში სრულიად მოსათმენი და შესაწყნარებელი იქმნებოდა, ვინაიდან ისეთის მშვენიერის ლექსით თარგმნაც კი ნიჭის უეჭველ ღირსებად ჩაითვლება.

კიდევაც, რომ პლაგიატი იყოს ეს პოემა, შანშიაშვილის ნიჭიერების დამამცირებლად სრულიადაც არ ჩაითვლებოდა, ვინაიდან შანშიაშვილი ძლიერია სალირიკო ლექსებში. აიღეთ, თუ გნებავთ, სხვათა შორის, მისი „ნისლი" („დროება" № 230 ამა წლისა). ეს ლექსი ცხრა პატარა ნაწყვეტისაგან შესდგება და ყოველი მათგანი შედევრია სწორედ. აი, თუ გნებავთ ნიმუში:

მიკვრიტე ია, გულში ჩავიკარ,
მეგონა ბედკრულს მიერთგულებდა;
დაჰბერა სიომ, ჩამოწვა ნისლი...
ჩაჭკნა და სურნელს აღარ აპნევდა
სული დაღონდა, იგრძნო ობლობა...
ია თან დამაქვს სუნმიღებული,
და ვუფრთხილდები, ვით წმინდა ნამთსა,
გულს ჩავიქსოვე ფერფლად ქცეული!..

* *

ოდეს ნისლი თავს მევლება.—
სატრფოვ ახლო მეგულება!
ოდეს-ცვარი თმას მინამავს,—
მისი ცრემლი მეპკურება!..
მსურს მეც ნისლად გარდავიქცე,
მსურს სატრფოსთან დავდნე ცრემლად;
და დამწვარს გულს სიყვარულით
მოვევლინო შვება-ლხენად!..

თითქო ამის დამწერს ვინმე უნიჭობას შესწამებს, თუ გინდ „ტფ. ლისტ." ქართულის ლიტერატურის „ერთგულებით" და „სიყვარულით" აღსავსე თანამშრომელიც იყოს იგი. უეჭველია, ალ. შანშიაშვილს მეტად სახარბიელო ნიჭი აქვს, უეჭველია, მისი ნიჭი არა ერთს მოჰგვრის ჯავრსა და ბრაზს. უეჭველია, მას შური და მტრობა ბევრ ძიმწარეს და სამსალას დაალევინებს, მაგრამ ამან ვერ უნდა შეაშინოს. ჩვენის ლიტერატურის დიდებულ მოძღვრის ეკლის გვირგვინი ნიადაგ თვალ წინ უნდა ადგეს ყოველ ჩვენგან ნიჭიერ მწერალს და იმით უნდა იცოდეს, როგორ ეკიდებიან უმადურნი დიდ ნიჭს. მაგრამ ამან ერთი წუთითაც არ უნდა შეაფერხოს. მისი მოვალეობაა „ბუნებისაგან" მიცემულ ნიჭს მოუაროს, განავითაროს იგი და საზრდო არ მოაკლოს. არ უნდა დაივიწყოს, რომ ყოველი მწერალი და მგოსანი, რომელსაც სახელი მოუპოვებია ლიტერატურაში, დიდის ცოდნით ყოფილა აღჭურვილი და ყოველთვის თავის თანამედროვებზე უმაღლესად მდგარა გონებით და განვითარებით. ეს მით უმეტეს მოეთხოვება ჩვენს მწერალს, რომელსაც ჩვენს დამყაყებულს ატმოსფერაში უხდება მუშაობა. თუ იგი თავის ნიჭს მოუვლის, ვერას დააკლებს ვერც შური და ვერც მტრობა და ჩვენის ლიტერატურისათვის სასიქადულო მწერლად გადაიქცევა.

**კიტა აბაშიძე.**

*) დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ გაზეთმა „ნაშ კრაიმ" ასეთივე აზრი გამოსთქვა ამ ინციდენტის შესახებ. „ნაშ კრაი" და იმ წერილის ავტორი ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იდგნენ, ვინაიდან შანშიაშვილთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ და, მაშასადამე, მათ მსჯელობას ვერ შესწამებენ მიდგომილებას.

---

გთხოვთ, ფული გადასცეთ კომიტეტს, რომელიც ამ საქმეს განაგებს. შემომწირველთა სია:

თითო მანეთი: ლეონტი რ. ხოხამე, დავით ს. ვაშალომიძე, ჩაჩიბაია ტ. მიხეილ ლეპანიძე, ილარიონ ჩეგელიშვილი, არშაკ ოსეპიანცი, ლუკა ლეპანიძე, თედო ლეპანიძე, სიმონ ლეპანიძე; ათ-ათი შაური: მიხეილ ოსეპიანცი, ნიკო მეტრეველი, მ. მეტრეველი, ნიკო ტოროლაშვილი, გიორგი მაისურაძე, გიორგი ზერუშვილი, ვასილ ლეპანიძე, გიორგი მკალავ ანცი, ლაზარ პარსიაშვილი, იოსებ პაპიაშვილი და გიორგი ქაჩლიშვილი; ს. ს. პანიანცი—40 კ., ვ. ს. პარვანიანცი—30 კ., ზ. პეტროსიანცი—25 კ., კოტე ბადურაძე—25 კ., გამილაგდიშვილი—40 კ., ვანო ლვინიაშვილი—30 კ., დავითნიძე—20 კ., გ. ხამადაშვილი—15 კ., ი. ჩეკურიშვილი—15 კ. და ს. ჯიჯური—15 კ.

**დავით სიმონის ძე ვაშალომიძე.**

# რუსეთი

✦ **კიევის და მოსკოვის კომერციული სასწავლებლები.** „ბაკუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ვაჭრობა—მრეწველობის მინისტრმა უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლითაც კიევის და მოსკოვის კომერციულ სასწავლებლებს უმაღლეს სასწავლებლების უფლებები მიეცემათ. ამ კანონპროექტს სახელმწიფო სათათბიროს 1910 წლის გაზაფხულზედ წარადგენენ.

✦ **ქალი—პროფესორი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება კიევის კამერციულ უმაღლეს სასწავლებელში პროფესორად მიიწვიეს ქალი, კორჟელსკაია. 2 დეკემბერს კორჟელსკაიას პირველი ლექცია წაუკითხავს. აუდიტორია სულ ერთიანად ავსილა სტუდენტებით. ლექციას დასწრებიან ყველა პროფესორები. კორჟელსკაია ხანგრძლივი ტაშით დაუჯილდოვებიათ.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: სიმფეროპოლში 6 ბაქოში 3, სარატოვში 3, არხანგელსკში 1, ვარშავაში 2, ხარკოვში 4 კაცს სიკვდილით დასაჯეს: სარატოვში 3, ხარკოვში 1, ვარშავაში 1, ოდესაში 2, პეტერბურგში 1 კაცი.

# წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ „დროების" მახლობელ ნომერში ქვემო-მოყვანილი ანგარიში სიღნაღში გამართულ „ილიას სალამოსი". ბილეთები იყო—128 მან., შემოწირულება—35 მ. სულ შემოსავალი—163 მან. ხარჯი: კლუბის ქირა და განათება—14 მან. 50 კაპ., საზანდარი—5 მ., აფიშები—3 მ. 40 კ., დეპეშა—3 მ. 90 კ., მოსამსახურე—4 მ. 50 კ., მარკები—7 მ. 95 კ., გრიმი—4 მ. 15 კ., წვრილმანი ხარჯი—9 მ. 10 კ., ფულის გაგზავნა ფოსტით—50 კ. სულ 53 მ.

წმინდა დარჩა 110 მანეთი, რომელიც გაიგზავნა. (კვიტანციის № 374) „წერა-კითხვის საზოგადოების" სახელობაზე ქალთა წრის გადასაცემად „ილიას ფონდის გასაძლიერებლად.

უღრმეს მადლობას უძღვნი იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ სალამოს გამართვაში.

სალამოს გამგე **ნ. ს. ანდრონიკაშვილისა.**

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**


# განცხადებანი

**კირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—232)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—19)

---

◄ **მიიღება ხელის მოწერა** ►

სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

**„განათლება"-ზე**

(წელიწადი მესამე)

1910 წელს 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველთვიურ პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის.

ხელის მომწერთათვის ჟურნალი წლიურად ეღირება გაგზავნით 3 მანეთი, ნახევარი წლით 2 მან. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურად **ორ მანეთად** დაუჯდებათ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**—„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში. ქალაქგარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.** (5—2)

---

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

**1910 წ. საქართველოს მოამბე 1910 წ.**

**მიიღება ხელის მოწერა.**

ერთის წლით 4 მან. 50 კაპ., უცხოეთში 6 მან.. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Головинскій просп. д. Манташева, номера „МУХРАНИ" Семену Кипіани. (6—2)

---

◄ **გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში** ►

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზე:

**„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით"**

დაახლოვებით 250—300 გვ. ✦ ეხლავე ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ.

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** ისიდ. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში, **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ხონში**—გიგლა მებუკეთან.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

---




**სენსაციონური ამბავი**

200 მანეთად ღირებულ ოქროს საათის მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ საათი „ს ე ც ე ს ი ა", რომელიც ფასონით და მნოთი არ ჩამოუვარდება ოქროსას. საათი ძალიან თხელია, ვერცხლის მანათიანის სითხისა, ამერიკულ ახალ ოქროსი, რომელიც თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ მნოს, ორგინალურ დაჭდეულ ყ ვ ა ვ ი ლ თ ა სურათებით (იხ. სურათი) საათი „ს ე ც ე ს ი ა" გამოირჩევა ხწორი სიარულით და მხატვრულად გამწიანებულობით; ღერმები ქვებზეა, იმართება 40 საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ., 2—7 მ.; ამასთანავე ქალის 4 მ. 75 კ., უ ფ ა ს ო დ ემლევა ახალი ოქროს მშვენიერი ძეწკვი ბრელოკით და საათის შესანახად ზამშის ბუდე. საათი ეგზავნება განინჯული, 6 წლის თავდებობით, ფას დადებით და უბეღდ. 2 ცალის გადაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). ადრესი: Т-ВО „АККУРАТНОСТЬ", ВАРШАВА, ОТДѢЛ. 94. ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე. (Метцль и К-о № 76629) (5—6.—4)

---

13 დეკემბრიდან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

**◄ ს-ხ-ი-ვ-ი ►**

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი). ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახსოსპირელი, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. იასამანი, პ. ირეთელი, ა. ლალიონი. ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი. ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაქდენიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭვდა ივ. გომართელის კრიტიკულ წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.

ამათანავე, იანვრიდაკ თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთად გამოვა კრებული «ს ხ ი ვ ი», მოზრდილი წიგნი. წიგნს ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები კორესპონდენციები ერთ გვერდზე გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ეღირება ერთი წლით 5 მან., ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. ერთი თვით 50 კაპ. თითო ნომერი 10 კაპ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკემბრის ნომრებს უფასოდ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია «იმერეთში» ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის მკაფში ყ. კოპალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის მკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში ვ. ხუროძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვა...

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: Тифлисъ типографія „ПЕЧАТНОЕ ДѢЛО" Вельяминовская N 6, Поліевкту Антоновичу Каландадзе. (3—3)

---

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლის ყოველ-თვიურ ჟურნალ**

**„რუსსკაია მისლ"-ზე.**

(«РУССКАЯ МЫСЛЬ»)

გამოვიდა დეკემბრის (მეთორმეტე) წიგნი შემდეგის შინაარსით: 1. „ერთი", პოემა ლექსად, ბორის სადოვსკისა. 2. „მკვდარი ტალღა", რომანი ო. მირტოვისა; 3. „Vita somnium breve", რომანი რიჩარდ გუხისა; 4. ჩეხოვის წერილები: 5. „ბედნიერი პერი", რომანი ჰენრ. პონტოპიდონასი; 6. „გოგოლი და გოგია", ს. გ. შამბინაგასი; 7. „ფ. ფ. მარტენსი". ბარ. ბ. ე. ნოლდესი; 8. „სოციალიზმის ილიუზიები", ბერნარდ შოუსი. თარგმ. ინგლისურით; 9. «ჩვენი მორეული აღმოსავლეთი და მისი კალონიზაცია», ა. ა. კაუფმანისა; 10. „ლიტველთა საკითხი დღეს", ა. პოგოდინისა; 11. „წერილი გერმანიიდან. ახალი საიმპერიო გადასახადები", ელისაბედ ვილენც-გოროვიცისა; 12. „შენიშვნები თანამედროვე ლიტერატურაზე: „ანათემა" ლ. ანდრეევისა. რამდენიმე სიტყვა ლიტერატურის თანამედროვე კრიზისზე", ლ. ი. გურევიჩისა; 13. „სათამაშოთა მსოფლიო (მხატვ. ბერტრამის სათამაშოთა მოსკოვის გამოფენის გამო)", ვ. გ. მალალაზიევ-მიროვიჩისასი; 14. „ვხევოლოდ გარშინზე, მისი დახასიათების შესავალი", კ. ი. ჩუკოვსკისა; 15. „შინაური ცხოვრების მიმდინარე საკითხები. ა) რუსეთის კონსტიტუციის ბედ-იღბალი. კ. ნ. სოკოლოვისა. ბ) სამრეწველო სინდიკატები და მათ განვითარების პირობები", ვ. ო. გეფლანგისა; 17. „ორიოდე სიტყვა ა. ა. კაუფმანიის წერილის გამო", თავ. ბ. ე. ლვოვისა; 18. „თავისუფლება ძიებისა და მოწოდება მოუთმენლობისადმი", (წერილი რედაქციის მიმართ), პ. ი. ნოვგოროდცევისა; 19. სხვა და სხვა თემებზე. „ცხოვრების მოთხოვნილებანი", „ისტორიული წერილები" მ. ო. გერშენზონისა, პეტრე სტრუვესი; 20. უცხოეთის პოლიტიკა, ა. ი. გოლბერშტადტისა; 21. ბიბლიოგრაფია. 22 განცხადებანი.

**ხელის მოწერის პირობები.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთში ერთი წლით. | 9 თვით. | 6 თვით. | 3 თვით. | 1 თვით |
| 12 მან. | 9 მან. | 6 მან. | 3 მან. | 1 მ. |
| საზღვარ-გარედ. 14 | 10 მ. 50 კ. | 7 მ. | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

მიიღება ხელის მოწერა: მოსკოვში—ჟურნალის კანტორაში, ვაგანკოვსკის შესახვევი, სახ. კუმანინისა; პეტერბურგში, ვილნოში და ვარშავაში კარბასნიკოვის წიგნის მაღაზიებში და სხვა საუკეთესო წიგნის მაღაზიებში მოსკოვსა, პეტერბურგსა, ოდესასა და კიევში.

**გამოვიდა ახალი წიგნი** ჟურნალ „რუსკაია მისლის" გამოცემა: „მრავალ-სახიანობა სარწმუნოებრივ ძიებისა", ვილიამ ჯემსისა.

---

**ზღაპრები ქართლში, კახეთში და ფშავში**

**შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ**

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—11)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.